ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 317

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალითი სფეისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 აგვისტოს №44-442423456 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალითი სფეისისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412776973) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №37, „სადგური ქუთაისი II-ის“ მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №1-1 (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.26.173; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – დაზუსტებული ფართობი: 770.0 კვ.მ. შენობა - ნაგებობა №1 საერთო ფართობით: 855.46 კვ.მ.), ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №59ა ბინის სამხრეთით (გზა, საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.26.613-დან ნაწილი; ფართობით: 94.00 კვ.მ.) და ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №37-ის ჩრდილოეთით (ავტოსადგომი, საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.26.381; ფართობით: 119.00 კვ.მ.), ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, მათ შორის 2 (ორი) წელი უსასყიდლოდ.

მუხლი 2. სარგებლობაში გადასაცემი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 და 2024 წლის 11

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 153
„31“ 08 2024 წ.

იანვარს გაფორმებული №26 ხელშეკრულებების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნების (14.07.2023 წელი, №004762723; 30.08.2023 წელი, №005985823 და 19.06.2024 წელი, №004114324) მიხედვით, რომელიც შეადგენს 42 944.0 (ორმოცდაორი ათას ცხრაასორმოცდაოთხი) ლარს.

მუხლი 3. ქონების წლიური საიჯარო ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ.

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალითი სფეისი“ (საჯარო რეესტრის ამონაწერის №412776973) ვალდებულია სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაში უზრუნველყოს სამედიცინო დაწესებულების შექმნა, განახორციელოს არანაკლებ 950 000.00 (ცხრაას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და დაასაქმოს 37 (ოცდაჩვიდმეტი) ადამიანი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია